ურთიერთთანამშრომლობის და ხელშეწყობის

მემორანდუმი

29.09.2020

წინამდებარე მემორანდუმი იდება შემდეგ მხარეებს შორის:

უცხოური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულიპირი **„საქართველოს არბაითერ სამარიტერ ბუნდი“** (შემდგომში "გრანტის გამცემი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის– დიმიტრი ტოდოროვიჩის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. 42 მე-3 სადარბაზო, მე-2 სართული ბინა 28, საიდენტიფიკაციო კოდი: 404881972;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შშმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“ (შემდგომში „გრანტის მიმღები“) წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარე- რუსლან საჯაიას სახით, მისამართი: ზუგდიდი, აღმაშენებლის 12; საიდენტიფიკაციო კოდი: 220412097;

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „მერია“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის სახით, მისამართი: სენაკი, ი. ჭავჭავაძის #103.

ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტში "პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად" „გრანტის გამცემმა“ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთ გამარჯვებულად გამოცხადდა „გრანტის მიმღების“ პროექტი სახელწოდებით „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“.

ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ არის ძალზედ მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი;

ვიზიარებთ რა პროექტის მნიშვნელობას და საჭიროებას და ვინაიდან მხარს ვუჭერთ აღნიშნულ პროექტს, მისი წარმატებულად განხორციელების მიზნით ვადგენთ წინამდებარე მემორანდუმს:

1. „გრანტის გამცემი“ და „გრანტის მიმღები“ მიიღებენ ყველა გონივრულ ზომას და განახორციელებენ ქმედებებს პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;
2. „მერია“ უზრუნველყოფს გრანტის მიმღებისათვის თანხის გამოყოფას ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენის ხარჯების დასაფარად პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად; მერიის კონტრიბუციის შეფასებითი ღირებულება შეადგენს **15000** ლარს.

3. „გრანტის გამცემი“ გააფორმებს ქვესაგრანტო ხელშეკრულებას „გრანტის მიმღებთან“ პროექტის, საგრანტო განაცხადის და საგრანტო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების პირობებით და გასცემს შესაბამის გრანტს;
4. „გრანტის მიმღები“ პროექტის და ქვესაგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოფს პროექტის წარმატებულად განხორციელებას;
5. ყოველი მხარე აცხადებს, რომ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვული მიზნების შესასრულებლად ისინი მიიღებენ ყველა გონივრულ ზომას, მათი ქმედებები მიმართული იქნება პროექტის წარმატებით განხორციელებისაკენ, ისინი დადებენ ხელშეკრულებებს, გამოსცემენ გადაწყვეტილებებს, თუ სხვა სახის აქტებს, რაც აუცილებელია პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;

„მერია“	„გრანტის გამცემი“	„გრანტის მიმღები“